

საიდ. N74099/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №146-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე (თავმჯდომარე), ს. დუმბაძე, ლ. კერესელიძე, ლ. ახობაძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ინტექს ენთერფრაიზის ფრაივეთ ლიმიტიდ“ (INTEX ENTERPRISES PRIVATE LIMITED) (მის.: დ-18/2, ოქლა ინდასტრიალ ერეა, ფეიზ-II, ნიუ დელი-110 020, ინდოეთი; D-18/2, Okhla Industrial Area, Phase-II, New Delhi-110 020) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №146-03/14), რომლითაც მოითხოვება „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 3 ივლისის №823/03 ბრძანების ბათილად ცნობა

და სასაქონლო ნიშნის „INTEX“ (საიდ. N74099/03) რეგისტრაცია მე-9 და 42-ე კლასის საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის გადაწყვეტილება და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

#### გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 3 ივლისის №823/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „INTEX“, მსგავსია მადრიდის შეთანხმების ოქმით კომპანია „Index-Werke GmbH & Co. KG Hahn & Tessky“ სახელზე რეგისტრირებული და საქართველოში დაცული საერთაშორისო ნიშნისა „INDEX“ (რეგ. N732139; რეგ. თარიღი: 13/01/00წ.) მე-9 და 42-ე კლასების მსგავსი საქონლისა და მომსახურების ჩამონათვლისათვის. განცხადებული და დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს განასხვავებს მხოლოდ ერთი ასო. განცხადებულ სასაქონლო ნიშანში - „T“, ხოლო დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანში - „D“. აღნიშნული განსხვავება, ექსპერტიზის მიერ, ჩაითვალა არასკმარისად. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ჟღერადობითაც, რაც, თავის მხრივ, იწვევს სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს „INTEX“ (საიდ. N74099/03) უარი ეთქვა რეგისტრაციაზე განცხადებული საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

აპელანტი არ ეთანხმება ექსპერტიზის გადაწყვეტილებას და განმარტავს, რომ დაპირისპირებული ნიშნების საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალის არსებითი განსხვავებები, შესადარებელი აღნიშვნების განსხვავებული გამოყენება და ასევე

აბსოლუტურად განსხვავებული გამოსახულებები, რომლებიც იქმნება მათი რეალური გამოყენების მახასიათებლებით, პრაქტიკულად გამორიცხავს მომხმარებელთა მიერ განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნების აღრევის ალბათობას. განცხადებული სასაქონლო ნიშანი, შესრულებულია ორიგინალური, სტილიზებული შრიფტით, მსხვილი მონიშვნის ფუნქციის გამოყენებით. განცხადებული ნიშნის დამახასიათებელი თვისებაა, დიდი და პატარა ასოების მონაცვლეობა, ასევე მომრგვალო ასოებრივი ელემენტების ჭარბობა და მსხვილი კუთხეების არარსებობა, რაც მთლიანობაში აძლევს სასაქონლო ნიშანს რბილ და გლუვ ხასიათს. ნიშანი გამოიყენება შემდეგ ორიგინალურ გრაფიკულ შესრულებაში კონტრასტულ წითელ – თეთრ ფერთა გამაში. აპელანტი აღნიშნავს, რომ აღნიშნული ფერები განმცხადებლის საფირმო სტილის ნაწილია, რომლებიც საშუალებას იძლევა, ვიზუალურად იქნას გამოყოფილი კომპანიის პროდუქცია და ხელს უშლის განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნების აღრევას მომხმარებელთა ადქმისას. გარდა ამისა, განცხადებული ნიშანი, გამოიყენება განმცხადებლის მიერ სარეკლამო სლოგანის „DEMAND MORE“ თანხლებით და ინგლისურიდან ითარგმნება, როგორც - „მოითხოვე უფრო მეტი“, რაც ასახავს კომპანიის უწყვეტი ტექნოლოგიური განვითარების ინოვაციურ კონცეფციას და პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოებას. სემანტიკურ ჭრილში განცხადებული სასაქონლო ნიშანი, არის სიტყვა, რომელიც შექმნილია ინგლისური ენის სამი ლექსიკური ერთეულის დაწყებითი ნაწილების შეთავსებით – „INFORMATION“, TECHNOLOGY“ და “EXTENSION”, რაც ინგლისურიდან ითარგმნება, როგორც „ინფორმაცია, ინფორმაციული“, „ტექნოლოგია“ და „წინსვლა გაფართოება“. შესაბამისად, ეს ასახავს კომპანიის საქმიანობის ძირითად მიმართულებებსა და ხედვებს. გარდა ამისა, განცხადებული ნიშანი წარმოადგენს განმცხადებლის საფირმო სახელწოდების დისტინქტიურ ნაწილს, კომპანიის „INTEX ENTERPRISES PRIVATE LIMITED“, რომელიც დამატებით

აიდენტიფიცირებს კომპანიის პროდუქციას და ხელს უშლის განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნების არევას ქართველი მომხმარებლების მიერ. განცხადებული სასაქონლო ნიშანი, რომელიც არის განმცხადებლის საფირმო ლოგოტიპი, გამოიყენება საოჯახო ტექნიკისა და მაღალტექნოლოგიური პორტატული მოწყობილობების მარკირებისათვის. განმცხადებელი, კომპანია „INTEX ENTRPRISES PRIVATE LIMITED“, შედის „INTEX TECHNOLOGIES LTD“-ს ჯგუფის შემადგენლობაში, რომელიც დღესდღეობით არის ყველაზე დიდი ინდური მწარმოებელი მაღალტექნოლოგიური პორტატული მოწყობილობებისა და საოჯახო ტექნიკის. ჯგუფის კომპანიების ძირითადი საწარმოო ობიექტები, მდებარეობს ინდოეთსა და ჩინეთში, კომპანიის სათაო ოფისები, მდებარეობს ინდოეთში, ჩინეთში, ავსტრალიაში, სამხრეთ აფრიკასა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებში. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, აპელანტი განმარტავს, რომ განმცხადებლის საქმიანობა მოიცავს ფართო მასშტაბებსა და მისი საქონელი და მომსახურება ცნობილია და წარმატებით იყიდება მთელს მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც. მაღალორგანიზებული სადისტრიბუციო და სადილერო ქსელის შემწეობით, რომელიც შედგება 1000-ზე მეტი დისტრიბუტორისგან და დაახლოებით 40000 დილერისგან, მხოლოდ ინდოეთის ტერიტორიაზე, კომპანიამ აჩვენა ფენომენალური, 100% მომატება, საქონლის ბრუნვაში 2013-2014 წლებში. ამის გარდა, მიწოდების დიდი რაოდენობის ჯაჭვის გამო, განმცხადებლის პროდუქციის გლობალური არსებობა, აღნიშნულია 70-ზე მეტ ქვეყანაში. კერძოდ, განმცხადებლის ექსკლუზიურ დისტრიბუტორად და სავაჭრო პარტნიორად საქართველოს ტერიტორიაზე 2012 წლიდან არის კომპანია „Camara Systems LLC“, რომელიც სთავაზობს განმცხადებლის ფართო პროდუქციის ასორტიმენტს, მარკირებულს განცხადებული სასაქონლო ნიშნით.

აპელანტი ასევე განმარტავს, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „INDEX“, განცხადებული სასაქონლო ნიშნისგან განსხვავებით, რომელსაც აქვს დისტინქტიური გრაფიკული გამოსახულება, შესრულებულია სტანდარტული შრიფტით, მსხვილი, ან კურსივის ფუნქციის გამოყენების გარეშე. დაპირისპირებული ნიშნის გრაფიკული შესრულების დამახასიათებელ თვისებად ითვლება, ხაზობრივი ასობრივი კომპონენტების ჭარბობა, რაც ქმნის მკაფიო და მკაცრ გამოსახულებას, რომელიც ძალიან განსხვავდება განცხადებული სასაქონლო ნიშნის გრაფიკული გამოსახულებისგან. ამგვარად, განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნების ინდივიდუალური გრაფიკული თავისებურებები მოწმობენ იმას, რომ ეს ნიშნები, გრაფიკული კრიტერიუმის მიხედვით, არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც მსგავსები. სემანტიკურად, დაპირისპირებული ნიშანი არის ინგლისური ენის პოლისემური ლექსიკური ერთეული, რომელსაც აქვს შემდეგი მნიშვნელობები: „ინდექსი, მაჩვენებელი, საჩვენებელი, სია“. ამიტომ, დაპირისპირებული ნიშნის აღქმა განპირობებულია მისი გამოყენების თავისებურებებით. აპელანტის განმარტებით, დაპირისპირებული ნიშანი გამოიყენება კომპანიის „INDEX-Werke GmbH“ მფლობელის მიერ, სამრეწველო მართვის მოწყობილობების მარკირებისა და სახარატო პროცესის მოდელირებისათვის. სააპელაციო საჩივარს თან ერთვის დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის გამოყენების საილუსტრაციო მასალები.

აპელანტი ასევე აღნიშნავს, რომ საფეიქრო მრეწველობაში, დეტალების დამუშავების ხარისხი, დამოკიდებულია სიზუსტის მონაცემების ტექნოლოგიურ მხარდაჭერაზე. ამგვარად, დაპირისპირებული ნიშნის სპეციფიკის გათვალისწინებით, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის სემანტიკა, მომხმარებლის მიერ, აღიქმება, როგორც „ინდექსი“, „ზუსტი მაჩვენებელი“, რაც იწვევს ასოციაციებს მოწყობილობებზე ნაკეთობების სახარატო დამუშავების მაღალი სიზუსტის შედეგებთან, რომლებიც მარკირებულია დაპირისპირებული ნიშნით.

ამგვარად, განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნების სემანტიკური შინაარსი და გამოსახულებები, აბსოლუტურად განსხვავებულია. შესაბამისად, აპელანტის აზრით, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელთა არა თანმხვედრი საქმიანობის სფეროების გათვალისწინებით, ფაქტობრივი შეჯახება სასაქონლო ბაზარზე, რომელიც მარკირებულია განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები, გამორიცხულია.

აპელანტი ითხოვს ასევე ყურადღება გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ დაპირისპირებული და განცხადებული სასაქონლო ნიშნების საქონლის ის ჩამონათვალი, რომელიც ერთმანეთის მსგავსია, კერძოდ: მულტიმედიური ტექნიკა, დრაივერები პორტატული მოწყობილობებისათვის სამრეწველო მოწყობილობა პროგრამული მართვით, პროგრამული უზრუნველყოფა სამრეწველო მოწყობილობებისათვის დანიშნულება მრავალფუნქციური საწარმოო ტექნიკური - გაყიდვისა და ხელმისაწვდომობის პირობები ხელმისაწვდომია გაყიდვის მასობრივ ადგილებში – მაღაზიები, ბაზრები, სუპერმარკეტები, ყველა მომხმარებლისათვის. მსხვილ საწარმოებზე ორიენტირება, გაყიდვა სპეციალიზებული წარმომადგენლობის მეშვეობით მომხმარებელთა წრე მომხმარებელთა ფართო წრე სამრეწველო საწარმოები - განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნები გამოიყენება არაერთგვაროვანი საქონლისა და მომსახურებების მარკირებისათვის, რაც მოწმდება ქვემოთ მოყვანილი შედარებითი ანალიზის, შესაბამისი საქონლისა და მომსახურებების 09,42 კლასების განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნების ერთგვაროვნების კრიტერიუმებით.

აპელანტის აზრით, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი განსხვავებულია, როგორც ფუნქციური დანიშნულებისა და სახეობის თვალსაზრისით, ასევე განსხვავებულია მომხმარებელთა წრე, რომლებიც რეალიზდება სხვადასხვა გაყიდვის არხის

მეშვეობით. განცხადებული სასაქონლო ნიშანი, გამოიყენება მულტიმედიური ტექნიკის მარკირებისათვის, დაპირისპირებული ნიშნით მარკირდება სპეციალიზებული მართვის სისტემები სამრეწველო მოწყობილობით დეტალების სახარატო დამუშავებისათვის. ამგვარად, ცხადია, რომ საქონლისა და მომსახურებების შედარების დროს ერთგვაროვნების რამოდენიმე კრიტერიუმის მიხედვით, ფიქსირდება არამსგავსება ყველა ზემოაღნიშნული ნიშანთვისების გათვალისწინებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ამტკიცებს, რომ განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნები არაერთგვაროვანია, აქვთ განსხვავებული ფუნქციონალური დანიშნულება, გამოყენების სფერო, ასევე გაყიდვის არხები და ხელმისაწვდომობის პირობები, რაც თავის მხრივ გამორიცხავს აღრევის ალბათობას მომხმარებელთა მიერ საქართველოში.

აპელანტი ასევე განმარტავს, რომ განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნები თანაარსებობენ ინდოეთის ტერიტორიაზე 2012 წლიდან. აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტალური მასალა თან ერთვის სააპელაციო საჩივარს.

გარდა ამისა, კომპანია-განმცხადებლის არსებობისა და განცხადებული აღნიშვნის გამოყენების განმავლობაში, დაპირისპირებული ნიშნის მფლობელისგან არ ყოფილა გამოთქმული არავითარი პრეტენზია განმცხადებლის საქმიანობის მიმართებით, რაც ასევე განმცხადებლისა და მფლობელის ინტერესების სასარგებლოდ მიუთითებს კონფლიქტის არარსებობასა და განცხადებული და დაპირისპირებული აღნიშვნების არევის შეუძლებლობაზე. ამგვარად, იმის გათვალისწინებით, რომ განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნების განსხვავებანი გრაფიკული და სემანტიკური კრიტერიუმების მიხედვით და მათი საერთო ინტელექტუალური გამოსახულებების განსხვავებანი; დაპირისპირებული აღნიშვნის განმცხადებლისა და მფლობელის საქმიანობის სფეროების განსხვავებანი; საქონლისა და მომსახურებების არაერთგვაროვნება, რომელთა მიმართებით

გამოიყენება განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნები; კომპანია-განმცხადებლის და მისი საქონლის სახელგანთქმულობა, მათ შორის საქართველოშიც პრეტენზიების არარსებობა დაპირისპირებული აღნიშვნის მფლობელისგან კომპანია-განმცხადებლის საქმიანობისა და განცხადებული ნიშნის გამოყენების მიმართებით. განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნების აღრევა გამორიცხულია მომხმარებელთა მიერ, შესაბამისად, დაპირისპირებული აღნიშვნა არ შეიძლება ხელს უშლიდეს განცხადებული აღნიშვნის დარეგისტრირებას საქართველოს ტერიტორიაზე. ვთხოვთ ექსპერტიზას გაითვალისწინოს ყველაფერი ზემოაღნიშნული და დაარეგისტროს განცხადებული აღნიშვნა , განაცხადი № 74099/03 ყველა განცხადებული საქონლისა და მომსახურებისათვის 09 და 42 კლასებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტი თვლის, რომ არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი და ითხოვს ბათილად იქნას ცნობილი „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 3 ივლისის N823/03 ბრძანება და სასაქონლო ნიშანი „INTEX“ (საიდ. N74099/03) დარეგისტრირდეს, მე-9 და 42-ე კლასების საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, საქმეში არსებული მასალები და გადაწყვიტა, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგი გარემოებების გამო:



„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ ის „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური, ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა;“.

სააპელაციო პალატის კოლეგია, მიიჩნევს, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „INTEX“ (საინდ. N74099/03) და საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი „INDEX“ (რეგ. N732139) აღრევამდე მსგავსია. დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს განასხვავებს მხოლოდ ერთი ასო. კერძოდ, განცხადებული ნიშნის შემთხვევაში ასო - „T“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის შემთხვევაში, ასო - „D“. ორივე სასაქონლო ნიშანი შესრულებულია ლათინური შრიფტით, იმ განსხვავებით, რომ განცხადებულ სასაქონლო ნიშანში ლათინური ასოები სტილიზებულია. შესაბამისად, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნებს შორის არსებობს, როგორც ვიზუალური, ისე ფონეტიკური მსგავსება.

ამასთან, მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშნის საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი შესაძლებელია შეიზღუდოს იმგვარად, რომ არ მოხდეს დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების აღრევა. კერძოდ, განცხადებული სასაქონლო ნიშანი უნდა დარეგისტრირდეს შემდეგი საქონლისა და მომსახურების შეზღუდული ჩამონათვლის მიმართ: „9 კლასი - მობილური ტელეფონები, სმარტფონები და მათი აქსესუარები; ხმამაღლამოლაპარაკეები, საყურისები; მუსიკალური პლეიერები; ბატარეები და ბატარეების სამუხტავი მოწყობილობები; ტელევიზორები; ტელემიმღებები და ციფრული ტელევიზიის მიმღებები, ინვერტორები. 42-ე კლასი კომპიუტერთან დაკავშირებული კონსულტაციები; წვდომა ლიზინგზე და წვდომის

უზრუნველყოფა ელექტრონული განცხადებების დაფაზე; კომპიუტერის დროის დაყოფის მომსახურება; კომპიუტერების ლიზინგი და გაქირავება; მულტიმედიასთან და ინტერაქტიულ პროდუქტებთან დაკავშირებული კომპიუტერული მომსახურება; მონაცემთა კომპიუტერული ბაზით უზრუნველყოფა.“

განცხადებული საქონლისა და მომსახურების ზემოაღნიშნული სახით შეზღუდვის პირობებში, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ აღარ იარსებებს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შედარებითი საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით

#### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „ინტექს ენთერფრაიზის ფრაივეთ ლიმიტიდ“ (INTEX ENTERPRISES PRIVATE LIMITED) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №146-03/14) დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. ბათილად იქნას ცნობილი „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 3 ივლისის №823/03 ბრძანება.

3. სასაქონლო ნიშანი „INTEX“ (საიდ. N74099/03) დარეგისტრირდეს მე-9 და 42-ე კლასის საქონლისა და მომსახურების შემდეგი ჩამონათვალისათვის: „9 კლასი - მობილური ტელეფონები, სმარტფონები და მათი აქსესუარები;

ხმამაღლამოლაპარაკეები, საყურისები; მუსიკალური პლეიერები; ბატარეები და ბატარეების სამუხტავი მოწყობილობები; ტელევიზორები; ტელემიმღებები და ციფრული ტელევიზიის მიმღებები, ინვერტორები. 42-ე კლასი კომპიუტერთან დაკავშირებული კონსულტაციები; წვდომა ლიზინგზე და წვდომის უზრუნველყოფა ელექტრონული განცხადებების დაფაზე; კომპიუტერის დროის დაყოფის მომსახურება; კომპიუტერების ლიზინგი და გაქირავება; მულტიმედიასთან და ინტერაქტიულ პროდუქტებთან დაკავშირებული კომპიუტერული მომსახურება; მონაცემთა კომპიუტერული ბაზით უზრუნველყოფა.“

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

მ. ფრუიძე

წევრები:

ს. დუმბაძე

ლ. კერესელიძე